პროექტი

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

„2008 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„1. 2008 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება მიღებულ იქნეს ცნობად.

2. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინფორმაცია „2008 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენების თაობაზე მიღებულ იქნეს ცნობად.

3. დაევალოს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს განახორციელოს მონიტორინგი ,,საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებაში მითითებული ფაქტების პრევენციისა და აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებაზე.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.“

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *დავით ბაქრაძე*

თბილისი,
2008 წლის 30 დეკემბერი.